ალა ბიბილაშვილი*

ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების პრობლემა და მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა

აბსტრაქტი

სამმხრივმა სამშვიდობო ხელშეკრულებამ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომლის მიხედვითაც დასრულდა ყარაბაღის მეორე ომი, ბოლო მოუღო აზერბაიჯანისა და სომხეთის შეიარაღებულ დაპირისპირებას. აზერბაიჯანმა აღადგინა საკუთარი კონსტიტუციური უფლებები, და ოკუპირებული ტერიტორიები აზერბაიჯანის იურიდიულ ველში დააბრუნა. შეთანხმებას დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. იკვეთება ძალთა ბალანსის გადანაცვლება რუსეთის სასარგებლოდ. შეთანხმება ცხადყოფს, რომ მოსკოვი რჩება რეგიონში უსაფრთხოების პოლიტიკის თვალსაზრისით საკვანძო მოთამაშედ, და მისი ზეგავლენის არეალი ფართოვდება. რუსეთმა შეძლო ყარაბაღის საკითხის გადაჭრისას მინსკის ჯგუფის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის როლის დაკნინება, და თავად გახდა დომინანტი ამ საკითხში. ასევე გამოიკვეთა, რომ თურქეთის სახით რეგიონში ახალი პოლიტიკური ძალა აქტიურდება, და ანკარის როლი ყარაბაღის მოვლენებში არსებითი და საყურადღებოა.

საკვანძო სიტყვები: ყარაბაღი, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი.

კონფლიქტი მთიან ყარაბაღში, რომელიც დაიწყო 1988 წელს და საომარი ფაზა გრძელდებოთა 1994 წლის მაისამდე, როცა რუსეთის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის (ეუთოს) მინსკის ჯგუფის შუამავლობით სომხეთისა და აზერბაიჯანის მხარეთა შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

1997 წელს ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავჯდომარეებმა კონფლიქტის მხარეებს შესთავაზეს საშუალედო შეთანხმება ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებაზე, დევნილთა დაბრუნებაზე,

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

ბლოკადის მოხსნასა და მთიანი ყარაბაღის მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტიებზე. დარეგულირების პროცესის დასაწყისში მწვავე პოლემიკის საგანი გახდა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართოს და გადაწყდეს შუალედური შეთანხმების პროცესი - ეტაპობრივად თუ პაკეტურად. ეტაპობრივი გეგმა, რომლის საფუძველიც იყო აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვა, საშუალებას იძლეოდა გაგრძელებულიყო მოლაპარაკება მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის საბოლოო სტატუსის შესახებ სამხედრო მოქმედებების განახლების გარეშე. აქცენტი კეთდებოდა კონფლიქტის მხარეთა შორის დაძაბულობის თანდათანობით შენელებაზე. სომხეთმა და აზერბაიჯანმა მიიღეს აღნიშნული წინანადებები, როგორც მოლაპარაკების წინაპირობა, მაგრამ მთიანი ყარაბაღის წარმომადგენლები ამ პრინციპებს არ დაეთანხმდნენ. ისინი ცდილობდნენ, ტერიტორიების სანაცვლოდ, ერთბაშად მიეღოთ დამოუკიდებლობის ტოლფასი სტატუსი. 1998 წელს სომხეთის პრეზიდენტი ლ.ტერ-პეტროსიანი თანახმა იყო გაეზიარებინა მინსკის ჯგუფის გეგმა ლოზუნგით „მიწები მშვიდობის სანაცვლოდ“. მას სჯეროდა, რომ მსგავსი კომპრომისით შესაძლებელი იქნებოდა რეგიონში სტაბილურობის აღდგენა, სომხეთისათვის ეკონომიკური ზრდის პერსპექტივის შექმნა, მისი ჩართვა ფართომასშტაბიან სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებში. მაგრამ სომხეთის პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა პრეზიდენტი დაადანაშაულა კაპიტულანტურ პოზიციებში, ეროვნული ინტერესების ღალატში, რის შედეგადაც ტერ-პეტროსიანი იძულებული გახდა გადამდგარიყო.

სომხური მხარის წარმომანგენლები ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ სომეხი ხალხისათმის მიუღებელია 1988 წლისაკენ დაბრუნება, როგორც სტატუსის, ისე ტერიტორიული საკითხის თვალსაზრისით. სომხეთის სახელმწიფოებრიობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც არცახში, ისე სომხეთში, შეუძლებელია მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სტატუსის პირობებში, რადგანაც აუცილებელია, რომ გათვალისწინებული იყოს ყარაბაღის საკვანძო როლი სომეხი ხალხის თვითშეგნებაში.

ცნობილი სომეხი პოლიტოლოგები, ექსპერტები, საზოგადო მოღვაწეები კატეგორიულად უარყოფდნენ მთიანი ყარაბაღის სომეხთა დამორჩილებას აზერბაიჯანის სახელმწიფოს ხელისუფლებისადმი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ბაქოსადმი იურიდიული დამორჩილება არ მისცემს უფლებას ყარაბაღის ეთნიკურ სომხებს განახორციელონ მათი

რეალური დამოუკიდებლობა. ისინი განიხილავდნენ სუვერენული აზერბაიჯანის სახელმწიფოს შემადგენლობაში კონფლიქტური რეგიონის ჩართვას, როგორც მუქარას თვითმმართველი მთიანი ყარაბაღის სახალხო რესპუბლიკის თავისუფლად განვითარებისადმი. სომხებმა წამოაყენეს წინანადება, რომ მთიანი ყარაბაღისათვის მიენიჭებინათ სრული დამოუკიდებლობა, ან, კომპრომისის სახით, აზერბაიჯანსა და მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის შორის დამყარებულიყო კონფედერაციული ურთიერთობა. ამასთანავე, ყარაბაღს მისცემოდა სახელმწიფო სტატუსი საერთაშორისო სამართალსუბიექტის შეზღუდვით ბაქოს კონტროლის გარეშე.

აზერბაიჯანელი ანალიტიკოსების აზრით, სომხური მხარე ცდილობდა გულმოდგინედ შემუშავებული და ტაქტიკურად გააზრებული აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილის ანექსირების გეგმის განახორციელებას, რითაც სახელმწიფო პოლიტიკაში იქმნებოდა ყველაფრის დაშვების შესაძლებლობის პრეცედენტი, ხდებოდა თვითნებობის ლეგიტიმირება ტერიტორუილ გარდაქმნაში. იცვლებოდა საერთაშრისო გაერთიანების მიერ აღიარებული სუვერენული სახელმწიფოს საზღვრები, უხეშად ილახებოდა ადამიანის უფლებები, და მილიონზე მეტ აზერბაიჯანელ ლტოლვილს უწევდა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება. ეს გეგმა, ცხადია, ბაქოსთვის მიუღებელი იყო. რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებისათვის აუცილებელი იყო ეუთოს გეგვის შესრულება კონფლიქტის დარეგულირების შესახებ, რომელიც გულისხმობდა აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას, მთიანი ყარაბაღისათვის უმაღლესი დონის თვითმმართველობის მინიჭებას, და როგორც სომხებისთვის, ასევე აზერბაიჯანელი მოსახლეობისათვის უსაფრთხოების გარანტიებს.

მას შემდეგ, რაც სომხეთმა ვეტო დაადო ეუთოს ლისაბონის სამიტის გადაწყვეტილებას, ხოლო აზერბაიჯანმა უარი თქვა მისთვის მიუღებელ "საერთო სახელმწიფოს" შესაძლებელ ჩამოყალიბებაზე სტეპანაკერტთან ერთად, სხვადასხვა ფორმით და განსხვავებულ დონეზე, მიმდინარეობდა მძიმე, თითქმის უშედეგო მოლაპარაკებები კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირებისათვის, და ურთიერთ მისაღები კომპრომისების ძიება გეოპოლიტიკურად და გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამხრეთ კავკასიის რეგიონის ერთერთი ურთულესი პრობლემის გადასაწყვეტად.

თანამედროვე საზოგადოებაში ჩამოყალიბებულია აზრი, რომ დემოკრატიზაციის სფეროში ყოველმხრივი განვითარების პროცესების სრულყოფისათვის ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. დაინტერესებულ მხარეთა ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით განვითარებული დემოკრათიული ინსტიტუტები ხელს უწყობენ თანხმობის კულტურის ჩამოყალიბებას საზოგადოებრივ მენტალობაში, მის სრულ, მასშტაბურ ფუნქციონირებას და სტიმულს აძლევენ კომპრომისული გადაწყვეტის ძიებაში, რომელიც მისაღებია კონფლიქტში მონაწილე სახელმწიფოების პოლიტიკური ძალებისათვის. სხვადასხვა დონეზე მიმდინარე მოლაპარაკებები და მშვიდობიანი პროცესი ხელს უწყობს მხარეების ურთიერთდამთმობი პოზიციის დაახლოებას, რადგანაც ისინი დაინტერესებულნი არიან განსაზღვრული წინაპირობის შექმნაში, ახალი საშუალებების მოძებნაში, წინააღმდეგობების საბოლოოდ გადაწყვეტაში.

მოლაპარაკების დროს ერევანი დაჟინებით ითხოვდა რიგი პრინციპების დაცვას: ყარაბაღის უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფას, სომხეთთან შეუფერხებელი სახმელეთო კავშირის შენარჩუნებას. სომხური მხარე აცხადებდა, რომ ამ მოთხოვნილებებზე უარის თქმა გამოიწვევდა სომხური მხარის უთანხმოებას შუამავალთა წინადადებებზე.

ყარაბაღის კონფლიქტის გადასაწყვეტად საერთაშორისო შუამავლებმა მიმართეს ტერიტორიული გაცვლის გეგმასაც. ეს მოდელი ჯერ კიდევ 1992 წელს წამოაყენა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილმა მრჩეველმა საბჭოთა ეროვნებების დარგში პოლ გობლმა. ნავარაუდი იყო მთიანი ყარაბაღის ნაწილის გადაცემა სომხეთისათვის, აზერბაიჯანს რჩებოდა რაიონები აზერბაიჯანული მოსახლეობით, და მისი კონტროლის ქვეშ გადადიოდა ბაქო-ნახჩევანის დამაკავშირებელი დერეფანი. ამ გეგმაში ორივე მხარე უარყოფით ასპექტებს ხედავდა: სომხეთი კარგავდა უშუალო საზღვარს ირანთან, აზერბაიჯანი კი - თავისი ტერიტორიის ნაწილს. გობლის გეგმა ორმხივი კრიტიკის ობიექტი გახდა, მაგრამ, ამასთანავე, მხარეებმა იგი, როგორც მოლაპარაკების საგანი, არ უაყვეს. გობლის გეგმამ თავის დროზე ოფიციალური ვაშინგთონის მხარდაჭერა ჰპოვა, ვინაიდან იგი ფაქტობრივად წყვეტდა მთიანი ყარაბაღის არაანკლავური არსებობის პრობლემას. გეგმით განსაზღვრული ნახჭევანის ავტონომიასთან უშუალო ტერიტორიული კავში-

რის დამყარება აზერბაიჯანმა შეაფასა, როგორც აქტუალური და უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური ფაქტორი.

სომხეთი წინააღმდეგი იყო იმ განზრახვისა, რომელიც მას ირანთან უშუალო გეოგრაფიულ კავშირს უკარგავდა, და რეგიონის გეოპოლიტიკური რუკა მთლიანად იცვლებოდა. სომხეთისთვის ირანთან სახმელეთო საზღვრის შენარჩუნება გარანტიას აძლევდა ქვეყანას, რათა თურქეთისა და აზერბაიჯანის მხრიდან განხორციელებული ბლოკადა არ გადაზრდილიყო ტოტალურში.

ერევნის კატეგორიუილი უარის შემდეგ, პოლ გობლმა წარადგინა თავისი გეგმის შეცვლილი ვარიანტი, რომელშიც გაითვალისწინა სომხეთის ირანთან საერთო საზღვრის მნიშვნელობა არა მარტო ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების განვითარების კონტექსტში, არამედ, როგორც არათურქულ სამყაროში გასვლის მნიშვნელოვანი საშუალება. ეგრეთ წოდებული „გობლი-2“ის გეგმის მიხედვით, აზერბაიჯანს ეძლეოდა წინანადება - დათმოს დასავლეთ ნახჭევანის მცირე ნაწილი, რითაც სომხეთი შეძლებდა ირანთან საზღვრის შენარჩუნებას. „გობლი-2“-ის გეგმა, ამავე დროს, მოუწოდებდა საერთაშორისო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებს თურქეთზე გარკვეული ზეწოლისაკენ სომხეთთან საზღვრის გახსნის მიზნით, რაც წარმოადგენდა კონფლიქტის დარეგულირების პაკეტური შეთანხმების ნაწილს. პოლ გობლის მოდიფიცირებული გეგმა არ ითვალისწინებდა ირანთან სომხეთის გეოგრაფიული საზღვრის დაკარგვას, არც თურქეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიულ კავშირს ან შეერთებას. ამიტომ, სომხეთისა და ირანის თვალსაზრისით, ის უფრო კომპრომისულ შეთანხმებას წარმოადგენდა.

აზერბაიჯანისთვის „გობლი-2“ის გეგმა არ იყო მისაღები იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ თურქეთთან საზღვრის მონაკვეთი უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო როგორც ბაქოსთვის, ასევე ანკარისთვის. სწორედ ამიტომ აზერბაიჯანმა უარი განაცხადა პოლ გობლის გეგმის ახალ ვარიანტზე. ერევანმა თავის მხრივ, არ მიიღო კომპრომისული, მისთვის მომგებიანი ტერიტორიული გაცვლის პრინციპი, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ დერეფანი, რომელიც აერთებს სომხეთსა და მთიან ყარაბახს, ისევე როგორც ყარაბაღის მიმდინარე რაიონები, იმყოფებიან სომხური მხარის კონტროლის ქვეშ. ამიტომ სომხური მხარეს შესაძლო თანხმობა პოლ გობლის გაცვლის ფორმულაზე წარმოადგენდა ცალმხრივ დათმობას: „ჩვენ სომხურ ტერიტორიებს სომხურზე არ ვცვლით“.

მთიანი ყარაბაღის საკითხის მოგვარების შესაძლო ვარიანტებზე არაერთხელ მსჯელობდნენ სომხეთის და აზერბაიჯანის პრეზიდენტები. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ნოემბერში, ორი რესპუბლირის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია კონფლიქტის მოსაგვარებლად ძალის გამოუყენებლობის შესახებ. 2009 წლის ივლისში, ქალაქ კრაკოვში განიხილეს ყველა მანამდელი შეხვედრების მიხედვით განახლებული „მადრიდის პრინციპების“ დოკუმენტის ვარიანტი, რომელიც მოიწონეს ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და რუსეთის წარმომადგენლებმა „დიდი რვიანის“ შეხვედრაზე. ამ შეხვედრის შემდეგ სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა შესამჩნევად გააქტიურეს მოლაპარაკების პროცესები, ისინი ცდილობდნენ საერთო პლატფორმის ჩამოყალიბებას. პრეზიდენტთა შეხვედ-რებზე განიხილებოდა, მადრიდის დოკუმენტის საფუზველზე, ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საბაზო პრინციპები, რაც ხელს შეუწყოფდა რეგიონში სტაბილუროდის შენარჩუნებას, და მომავალში კომპრომისული ვარიანტების მონახვის შესაძლებლობას. მადრიდის პრინციპები შეიცავდა ისეთ დებულებებს, რომელიც, სავარაუდოთ, ძირითად ასპექტში მისაღები იქნებოდა ორივე სახელმწიფოსათვის. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შემდეგი დებულებები: მთიანი ყარაბაღის სტატუსის ჩამოყალიბება რეფერენდუმის მეშვეობით, ყველა ლტოლვილთა დაბრუნება, ყარაბაღის ირგვლივ მდებარე რამდენიმე რაიონის, რომლებიც ქმნიან ეგრეთ წოდებულ უსაფრთხოების რკალს, აზერბაიჯანის იურისდიქციის ქვეშ გადასვლა, კონფლიქტის რეგიონში მშვიდობისმყოფელთა კონტიგენტის შეყვანა.

ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების ძირითადი მოდელებისა და მრავალრიცხოვანი კონცეფციების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი გადაწყვეტა შესაძლებელი იყო საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმების - სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღიარების გზით, მაქსიმალური კომპრომისებისა და მოლაპარაკების გამოყენებით. მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედიატორების ძალისხმევისა, შემუშავებული ვარიანტების და წინადადებების სიმრავლისა, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრის კონკრეტული გზები ვერა და ვერ მოიძებნა, ორივე მხარისათვის მისაღები კომპრომისის ძიება გრძელდებოდა. ამასთან ერთად, საგრძნობლად იძაბებოდა სიტუაცია

რეგიონში, ცეცხლის შეწყვეთის შესახებ შეთანხმება მრავალჯერ დაირღვა.

სამმხრივი საზავო ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომლის მიხედვითაც დასრულდა მთიანი ყარაბაღის მეორე ომი, ბოლო მოუგო აზერბაიჯანისა და სომხეთის შორის შეიარაღებულ დაპირისპირებას. რეგიონში ვითარება არსებითად შეიცვალა: აზერბაიჯანმა აღადგინა საკუთარი კონსტიტუციური უფლებები, და ოკუპირებული ტერიტორიები აზერბაიჯანის იურიდიულ ველში დაბრუნდა.

ამ მშვიდობიან შეთანხმებას დიდი გეოპოლიტიკური და შიდა რეგიონული მნიშვნელობა აქვს, იკვეთება ძალთა ბალანსის განაცვლება რუსეთის სასარგებლოდ. რუსეთი ამ ომში გამარჯვებულის პოზიციაზეა, რადგან შეთანხმება ცხადყოფს, რომ მოსკოვი რჩება რეგიონში უსაფრთხოების პოლიტიკის თვალსაზრისით საკვანძო მოთამაშედ,და მისი ზეგავლენის არეალი ფართოვდება. რუსეთმა შეძლო ყარაბაღის საკითხის გადაჭრისას მინსკის ჯგუფის,ამერიკის შეერთებული შტატების და საფრანგეთის როლის დაკნინება, და თავად გახდა დომინანტი ამ საკითხში. ამასთან ერთად, ასევე გამოიკვეთა, რომ თურქეთის სახით რეგიონში ახალი პოლიტიკური ძალა აქტიურდება -თურქეთი შეთანხმებას ხელს არ აწერს, თუმცა ანკარის როლი ყარაბაღის მოვლენებში არსებითი და საყურადღებოა.

გამოყენებული ლიტერატურის სია

- Нагорный Карабах: разум победит.Документы и материалы.Баку, Азернешр,1987.
- Официальные отчеты Совета Безопасности ООН, доклад S, рез. №822./hits/ru/Wikipedia/org/.
- Официальные отчеты Совета Безопасности ООН, док.S./26718. Юнусов А.Азербайджан в начале XXI века: конфликты и потенциальные.угрозы.Баку,2007.
- Резолюция 1416 Парламентской Ассамблеи Совета Европы от 25 янв. 2005 г. Doc. 10364, report of the Political Affairs Committee, rapporteur:Mr.Atkinson.
- «ГолосАрмении»,2000,№114-115.
- Алиев Н. Вопросы международного права в Нагорно-Карабахскомконфликте.Тбилиси,2009.
- «Независимая..газета»,2001,№14.
- Резолюция Генеральной Ассамблеи ООН от 14 марта 2008 года.

- «Мадридские принципы(10 июля 2009 г/)/https:/www/aniarc.am inRussian. https:/az.sputniknews.ru/karabakh/20170824/41577047.html/
- Томас де Ваал. Черный сад. Армения и Азербайджан между войной и миром.М.,2014.
- 3. პუტინის ინტერვიუ ტელეარხს „რუსეთი 24“/apsny/ge/2020/ conf/1602109312/php.
- Р.Кочарян об итогах Карабахской войны /news.rambler.ru/world/45936829/
- /armiflo.info/full.news/php.id=605498lang/
- /eardaily.com.ru.news/2021/92.11/
- /ria.ru/20210113/content=9044682/
- /apsny.ge/2021/pol/1620770655.php.
- /regnum.ru.news/polit/3201902.html.

Ala Bibilashvili

Problem of Karabakh Conflict Regulation and its Geopolitical Importance

Abstract

The article deals with the history of the conflict around Nagorno Karabakh, attempts of its resolution and those resons due to which these attempt were fruitless. It also deals with the new geopolitical situation which was created after the Armenian-Azerbaijan War of 2020.

Key words: War, Armenia, Azerbaiojan, Conflict, Mahorno Karabakh